ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2016 წლის 2 მარტი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №39 დადგენილებაში (ვებგვერდი, 20/11/2015. სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016246) და დადგენილების თანდართული წესის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„$1^{1.}$ განაცხადების განხილვისას, სამუშაო ჯგუფს, გამონაკლის შემთხვევებში, აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, არ გაითვალისწინოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრელი კრიტერიუმები და გამოიყენოს ინდივიდუალური მექანიზმი, იმ პირობით, რომ პირის (ოჯახის) საცხოვრისით უზრუნველყოფისაუცილებლობის მიზეზი დასაბუთებული იქნება, მაგრამ არაუმეტეს საცხოვრისში არსებული ბინების საერთო რაოდენობის 30 პროცენტისა.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**